41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო ზესტაფონელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ზესტაფონის მერობის კანდიდატისა და ზესტაფონის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ზესტაფონის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ზესტაფონი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი საშუალოდ 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

გასული წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. თუ 2013 წლის მონაცემებით, ბიუჯეტის ხარჯები 8,3 მლნ ლარი იყო, 2021 წელს – 12,2 მლნ ლარი შეადგინა. იზრდება მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო შემოსავლებიც, რომელიც 11,8 მლნ 20,8 მლნ ლარამდე გაიზარდა. ასევე იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიც: ზესტაფონის მუნიციპალიტეტმა 2013 წელს გადასახადების ნაწილში შემოსავლების სახით 2 მლნ ლარი მიიღო, 2021 წელს – 15,7 მლნ ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნებისა და ამოცანების ეფექტიან განხორციელებას.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მლნ-დან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, 2014-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 1 პროექტი** (ინვესტიცია 1 350 477 ლარი, თანამონაწილეობა 600 000 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 107 ჰექტარზე განხორციელდა 57 პროექტი (ჯამურად 1 804 843 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით**, 2014-2021 წლებში, ჯამურად, დაზღვეულია 238 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 767 923 ლარი), რითაც ისარგებლა 600-მა ბენეფიციარმა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით დღესათვის მოქმედებს 9 კოოპერატივი (გაწევრიანებულია 119 მეპაიე, მობილიზებული კაპიტალი 786 300 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით,** 2013-2021 წლებში, 110-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა და ჯამურად 9 709 934 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 1 605 436 ლარი. **მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით,** განხორციელდა 4 პროექტი (ჯამურად 229 188 ლარი, თანადაფინანსება 91 675 ლარი. 2020 წლიდან ამოქმედდა **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამა** (15 პროექტი ჯამურად 522 279 ლარი, თანადაფინანსება 369 728 ლარი) და **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა** (6 პროექტი ჯამურად 181 837 ლარი, თანადაფინანსება 89 914 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე,** 2013-2020 წლებში, 5 440 329 ლარი დაიხარჯა. წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი, 500-დან (2013 წელს) 2 345 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა.

2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფოს მხარდაჭერით, ცხოველთა მფლობელებისთვის უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიებები**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

სახელმწიფომ **აზიური ფაროსანას** საწინააღმდეგოდ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, ცივი შესხურებით წლიურად საშუალოდ დაამუშავა 3 587 ჰექტარი, თერმული ნისლის გამოყენებით –წელიწადში 14 730 ჰექტრი. შედეგად მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დღეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საქართველოს გამოცდილებას საერთაშორისო ექსპერტები სამაგალითოდ აღიარებენ.

- **გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მლნ ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;**
- **2024 წლისთვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილია სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი ფართობის 2 075 ჰექტრამდე ზრდა.**

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, ხელშეკრულება გაფორმდა 5 საწარმოსთან, აქედან 2021 წლის ივნისის მდგომარეობით დაფინანსდა 4 (ჯამურად 7 883 000 ლარი, დასაქმებულია 218 ადამიანი).

მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით, „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 581 129 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 729 660 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 84 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით –25, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 59 პროექტი).

- **გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად გაგრძელდება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის გაზრდა;**

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ

ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება. „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის მიხედვით, 2030 წლისთვის დადგმული სიმძლავრე გაორმაგდება და 10,166 მგვტ-ს მიაღწევს. შიდა რესურსებით გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა კი სამჯერ გაიზრდება და 34 მილიარდ კილოვატ/საათს გაუთანაბრდება.

იმერეთის რეგიონში, მშენებლობა-ლიცენზირების ეტაპზეა 4 ჰიდროელექტროსადგური:

- **„ნამახვან ჰესების“** კასკადი – დადგმ. სიმძლავრე 433 მგვტ, 800 000 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 1** –დადგმ. სიმძლავრე 1,72 მგვტ, 2 200 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 2** –დადგმ. სიმძლავრე 1,05 მგვტ, 1 450 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 3** –დადგმ. სიმძლავრე 1,99 მგვტ, 3 010 000 აშშ დოლარი.

იმერეთის რეგიონში, **6 ლოკაციაზე მიმდინარეობს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა შემდგომში ქარის ელექტროსადგურების ასაშენებლად**. აღნიშნული ქარის ელსადგურების ჯამური სავარაუდო დადგმული სიმძლავრე 635 მგვტ-ს აღწევს.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 10 719 აბონენტი. ხელისუფლების გეგმით, 2021-2024 წლებში, იგეგმება 3 სოფლის (ილემი, კინოთი, მწერისციხე) გაზიფიცირება (627 აბონენტი).

2013-2017 წლებში სოფელ შრომის ექსეულიძეების უბნის 6 ოჯახი ჩაერთო ელექტროენერგიის ქსელში, **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი** 6039 აბონენტს დაუმონტაჟდა, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურიზმის განსავითარებლად, 2014 წელს, ზესტაფონში, განხორციელდა

სოფელი საზანო, ტყლაპივაკე-სასახლის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა

ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია. არსებული ისტორიული ძეგლებისა და ტურისტული ობიექტების პოპულარიზაციის მიზნით, დამზადდა საინფორმაციო ბანერები; სოფელ ტაბაკინში, VII-VIII ს.ს. წმ. გიორგის სახელობის მამათა მონასტრამდე მისასვლელი გზის მშენებლობა; მოეწყო საფეხმავლო მარშრუტი კაკასხიდი-საკრაულა-ტაბაკინი. ტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად, უზრუნველყოფილი იქნება დაინტერესებულ პირთათვის კონსულტაციების გაწევა, შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, დაფინანსების მოსაზიდად.

ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურად ათვისების მიზნით, განხორციელდა შემდეგი პროექტები: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო წიგნის ბეჭდვა; ტურისტული სალაშქრო ბილიკების შესწავლა/მოწყობა/დასუფთავება, ტურისტული მანიშნებლების მონტაჟი; ტურისტული რუკების განახლება/ბეჭდვა; ქ. ზესტაფონში მცირე ზომის საინფორმაციო ტურისტული დაფების მონტაჟი; ტურიზმის განვითარების კუთხით კადრების გადამზადება;

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს;**

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა და გარემოს დაცვა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, 2014-2019 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, მოსახლეობაზე გაიცა 28 ათასი კუბ. მ მერქნული რესურსი. მოსახლეობისთვის მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, 2020 წელს მოეწყო **საქმიანი ეზო.** 2014-2021 წლებში, ხე-ტყის ორგანიზებულად დამზადების ფარგლებში, დამზადდა 7 900 კუბ.მ ხე-ტყე.

2019 წელს დაიწყო **წაბლნარი კორომების აღდგენა-გაჯანსაღების პროექტი,** რაც სანიტარულ ჭრებთან ერთად, მოიცავს წაბლის დაავადებასთან ბრძოლის ბიოლოგიურ ღონისძიებებს უახლესი ტექნოლოგიებით. რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება**.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს,** ამზადებს და ავრცელებს ამინდის პროგნოზებს და გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ. ამავე სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება სტიქიური **გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი,** ფორსმაჟორულ სიტუაციაში მდგომარეობის ოპერატიული შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით;

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

2022-2023 წლებში, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, ზესტაფონში, **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების** რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 30 მლნ ლარამდე დაიხარჯა. აშენდა 5 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 973 ათასი ლარის კომპენსაცია გამოყო.

ხელისუფლების გეგმით, 2021-2025 წლებში, მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა,შედეგად, ზესტაფონის 12 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 2 336 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომის საშუალება ექნება.

2014-2020 წლებში, ზესტაფონში, **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 9 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. **ხელისუფლების გეგმით,** 2021-2023 წლებში, 20 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯება, რითაც დამატებით 20 000-მდე ოჯახი ისარგებლებს.

ზესტაფონში უკვე დაიწყო **ქ. ზესტაფონის წყალმომარაგების სისტემის სრული რეაბილიტაციის** პროექტირება/მშენებლობა, რომლის ღირებულება 20 მლნ ლარს აჭარბებს.

2021-2022 წლებისთვის, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფ. მარტოთუბნის გზის რეაბილიტაცია (გაგრძელება) – 760 000 ლ;
- სოფ. საწაბლიის გზის რეაბილიტაცია – 820 598 ლ;
- სოფ. ცხრაწყარო, II ქუჩაზე საბავშვო ბაღამდე გზის რეაბილიტაცია – 261 295 ლ;
- სანახშირის სასოფლო გზის რეაბილიტაცია (მუხების უბანი) – 630 680 ლ;
- სოფ. დილიკაური, ხვედელიძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია – 400 000 ლ;
- ქ. ზესტაფონი, ჯორჯაძის ქუჩის რეაბილიტაცია – 172 113 ლ;
- სოფ. ფუთი, ჩიტორელიძეების უბანში ს/გზის რეაბილიტაცია – 387 565 ლ;
- სოფ. ქვედა საზანო, აბესაძე-ჭანტურიძეების უბნის რეაბილიტაცია – 306 238 ლ;
- სოფ. სვეტმაღალი, გზის რეაბილიტაცია – 309 697 ლ;
- სოფ. საღვინე, გზის რეაბილიტაცია – 82 039 ლ;
- სოფ. არგვეთა, გაფრინდაშვილების საუბნო გზის რეაბილიტაცია – 390 625 ლ;
- სოფ. ქვედა საზანო, ე.წ. სამცვერაზე ჩასასვლელი გზის რეაბილიტაცია – 467 688 ლ;
- სოფ. შროშა, შველიძეების უბნის გზის რეაბილიტაცია – 137 172 ლ;
- სოფ. ბოსლევი, თავბერების უბნის გზის რეაბილიტაცია – 370 274 ლ;
- სოფ. ზედა საქარა, ბეღლევის გზის რეაბილიტაცია – 379 341 ლ;
- კლდეეთი-ტაბაკინის გზის რეაბილიტაცია (ვარდულაძეების უბანი) – 300 000 ლ;
- სოფ. ალავერდის გზის რეაბილიტაცია (გაგრძელება) – 220 225 ლ;
- სოფ. ტაბაკინი, შათირიშვილების გზის რეაბილიტაცია – 754 106 ლ;
- სოფ. ქვედა საქარა, ქათამაძეებისა და პატარა ნებიერიძეების უბანი, გზის რეაბილიტაცია – 240 534 ლ;
- სოფ. ზედა საქარა, მაჭავარიანი-აბულაძეების გზის რეაბილიტაცია – 262 651 ლ;
- სოფ. კლდეეთი, კინოთის გზის რეაბილიტაცია – 431 273 ლ;
- სოფ. დილიკაური, ქვედა ცერცვაძეების საუბნო გზის დარჩენილი მონაკვეთის რეაბილიტაცია – 150 752 ლ;
- სოფ. ქვედა საქარა, აბესაძე-გოგიაშვილების უბანი, გზის რეაბილიტაცია – 364 127 ლ;
- სოფ. ქვედა საქარა, სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 226 991 ლ;
- სოფ. ზოვრეთი, წერეთელი-ციბაძის უბნის გზის რეაბილიტაცია – 234 485 ლ;
- სოფ. არგვეთა, მონასტრისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია – 300 000 ლ;
- სოფ. ქვედა კლდეეთი, ტაბაკინის გადასასვლელი გზის რეაბილიტაცია – 191 329 ლ;
- სოფ. ქვედა საქარა, ბარბაქაძეების უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა – 148 410 ლ;
- სოფ. დილიკაური, ზედა ცერცვაძეების გზის რეაბილიტაცია – 104 397 ლ;
- დაბა შოროპანი, მაღალსართულიანი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობა – 400 000 ლ;
- **აქტიურ ფაზაშია რიკოთის უღელტეხილზე საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალის მშენებლობის პროექტი. კერძოდ, ამ ეტაპზე მშენებლობა ერთდროულად მიმდინარეობს ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის, ჩუმათელეთი-ხევის, ხევი-უბისას, უბისა-შორაპანის და შორაპანი-არგვეთას მონაკვეთებზე. აღნიშნული პროექტების ჯამური საინვესტიციო მოცულობა 2,8 მილიარდ ლარს აღემატება. სახელმწიფოს გეგმის თანახმად, 2023 წლამდე სხვადასხვა მონაკვეთების დასრულება ეტაპობრივად იგეგმება.**

ვასილ გველესიანი: „დარწმუნებული ვარ, ზესტაფონისთვის ბევრი კარგი საქმის გაკეთების საშუალება მომეცემა“

35-წლიანი მეტალურგიული კარიერა აქვს. ფეროშენადნობთა ქარხანაში ძალიან ახალგაზრდა მივიდა და დირექტორობამდე დაახლოებით 25 საფეხური გაიარა. მართვის სადავეების ხელში აღების შემდეგ, ქარხნის გადაიარაღებაზე დაიწყო ზრუნვა ერთადერთი პრინციპით – მიუხედავად იმისა, რომ საწარმო ბევრი ზესტაფონელის საარსებო წყაროა, ჰაერს არ უნდა აბინძურებდეს! არც ერთი საწარმო, მოქალაქეების ჯანმრთელობის ხარჯზე არ უნდა მუშაობდეს! მეტალურგიიდან პოლიტიკაში ერთადერთი მიზნით მოდის – ზესტაფონის განვითარებაში წვლილი უნდა შეიტანოს. დარწმუნებულია, რომ „ქართული ოცნების“ გუნდთან ერთად, მშობლიური მუნიციპალიტეტისთვის ბევრი კარგი საქმის გაკეთებას შეძლებს.

ღირსების მედლით დაჯილდოებული, 2019 წლიდან ზესტაფონის საპატიო მოქალაქეცაა. ამბობს, რომ ეს სტატუსი, რომელსაც განსაკუთრებით უფრთხილდება, მას პასუხისმგებლობას უორმაგებს.

ძირძველი ზესტაფონელი, ზესტაფონის მერობის კანდიდატი ვასილ გველესიანი ოჯახის, განვლილი ცხოვრებისა და მუნიციპალიტეტთან დაკავშირებული გეგმების შესახებ გვიამბობს:

დაიბადა 1964 წლის 5 ივნისს, პედაგოგების ოჯახში.

1981 წელს დაამთავრა ზესტაფონის №4 საშუალო სკოლა, იმავე წელს ჩაირიცხა და 1986 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ინჟინერ მეტალურგის სპეციალობით. წარჩინებისათვის მინიჭებული ჰქონდა გ. ნიკოლაძის სახელობის სტიპენდია.

1986 წლიდან დღემდე მუშაობს ზესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხანაში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. 2017 წლის ივნისიდან 2021 წლის აპრილამდე იყო შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი, 2021 წლის აპრილიდან დღემდე, სს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორია. 2002-2005 წლებში არჩეული იყო ზესტაფონის საკრებულოს დამოუკიდებელ დეპუტატად. 2004-2013 წლებში იყო საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ ვიცე-პრეზიდენტი.

2019 წლის 25 ოქტომბრიდან, დაჯილდოებულია „საპატიო ზესტაფონელის“ წოდებით.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

– ძირძველი ზესტაფონელი ვარ. პედაგოგების ოჯახში დავიბადე. დედა, ეთერი ახრახაძე, ქიმიის მასწავლებელი იყო. ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, იმის გამო, რომ ორი ვაჟი ჰყავდა აღსაზრდელი, პედაგოგიურ მოღვაწეობას თავი დაანება, პენსიაზე ნაადრევად გავიდა და როგორც მაშინ ხდებოდა, საპენსიო ასაკამდე, ნახევარ პენსიას იღებდა. პედაგოგების ოჯახი მაშინაც საშუალო ფენას მიეკუთვნებოდა, ფუფუნებაში არ ვცხოვრობდით და ფაქტობრივად, დედამ მსხვერპლი გაიღო. თან საკუთარ პროფესიაზეც უარი თქვა. მამა, ზურაბ გველესიანი კი, ისტორიის პედაგოგი გახლდათ. სხვადასხვა დროს სხვადასხვა თანამდებობაზე იყო. კოლმეურნეობისა და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედაც მუშაობდა, სკოლაში სასწავლო ნაწილადაც. გარდაცვალებამდე ბოლო 11 წელი კი, ზესტაფონის მე-4 საშუალო სკოლის დირექტორი იყო და მიმაჩნია, რომ ეს პერიოდი ყველაზე გამორჩეული იყო მის შრომით საქმიანობაში. მე ისტორიაც მიყვარდა, მაგრამ ტექნიკური საგნები უფრო მომწონდა და ქიმიაში საკმაოდ ძლიერი გახლდით. ზოგადად, წარმატებული მოსწავლე ვიყავი. პედაგოგებს სურდათ, მედალზეც კი დამემთავრებინა სკოლა, მათი აზრით, ამას ვიმსახურებდი, მაგრამ მამას არ უნდოდა – მიაჩნდა, რომ მიკერძოებაში „დაანადაშაულებდნენ“. ამიტომ, სკოლა დავამთავრე წარჩინებით, მაგრამ არა მედალზე. ვამაყობ, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტისთვის ჩვენი ოჯახი ძალიან ცნობადია და ჩემი მშობლების მიერ აღზრდილი ათასობით ადამიანი ცხოვრობს, შრომობს და იღწვის მუნიციპალიტეტში. ზესტაფონში უფროსმა თაობებმაც კარგად იცოდნენ ბაბუაჩემის სახელი. ვასილ გველესიანი, ვის სახელსაც ვატარებ, ისევე, როგორც ბევრი სხვა კარგი საქმის მკეთებელი და ორგანიზატორი, 1937 წელს გადაასახლეს. მთელი ცხოვრება ამაოდ ცდილობდა მამა, გაერკვია, როგორ დაისაჯა ბაბუა. დღემდე არ ვიცით დახვრიტეს, ჩამოახრჩვეს თუ რა ბედი ეწია. გაქრა მისი ცხედარიც. ბებიის გარდაცვალებიდან რამდენიმე წელში, აზრი გამიჩნდა, რომ მის გვერდით ბაბუის საფლავის ქვაც დამედგა. ჩვენი სოფლის, დიდი განთიადის უხუცესებს დავეკითხე და გადაწყვეტილება მომიწონეს. მეტიც, ისიც კი მითხრეს, ამას თუ გააკეთებ, ვასილ გველესიანი თავიდან დაიბადებაო. ცხედარს ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ ის მაინც შევძელი, მისთვის საფლავის ქვა გამეკეთებინა... 16 წლის ვიყავი, როცა ჩვენ ოჯახში ტრაგედია დატრიალდა – დედა გარდაიცვალა. 1 წელიწადში კი, მამაც დავკარგე. თავის დაბადების დღეს, 1 იანვარს, სახლში ესვენა და ვგლოვობდით.

– ამხელა ტრაგედიის მერე, 17 წლის ახალგაზრდამ როგორ იპოვეთ ძალა, ცხოვრება გაგეგრძელებინათ და წარმატებული ყოფილიყავით?

– ძალიან რთული იყო. დავრჩით მარტო მე და ჩემი უფროსი ძმა, ზურაბი. ერთმანეთი გავაძლიერეთ და ორივემ შევძელით, სწორ გზას არ ავცდენოდით, წარმატებულები გამოვსულიყავით. ჩემი ძმა ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში ერთ-ერთი საამქროს უფროსის მოადგილეა. წლებია ქარხანაში მუშაობს. ზესტაფონში ოჯახები, ფაქტობრივად, მიბმული არიან ქარხანაზე. საოცარი ძმობა გვაქვს. ქართულ სინამდვილეში არის, რა თქმა უნდა, ასეთი ოჯახები, ალბათ ჩვენ არ ვართ გამონაკლისი, მაგრამ მეამაყება, რომ არ მოვწყდით მამისეულ ოჯახს და ორივე, ოჯახებით ერთ ფუძეზე ვცხოვრობთ. ძმებმა, მშობლების დაკარგვის შემდეგ ურთულესი პერიოდი გადავიტანეთ. იყო სირთულეები, მათ შორის – ფინანსურიც, მორალურიც, მაგრამ... როგორც ხდება ხოლმე, კეთილი ადამიანები გამოჩნდნენ ჩვენს ირგვლივ. ნათესავებიც და რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელი მამუკა ასლანიკაშვილი. მათი დამსახურებით გამოიძებნა რაღაც საშუალებები, რომ ჩვენ საარსებო წყარო გვქონოდა. ჩვენი მოვლა-პატრონობა კი ითავა მამაჩემის დედამ, ლუბა მერკვილაძემ, რომელმაც ჩვენ აღზრდაში უდიდესი წვლილი შეიტანა და ჩვენ ცხოვრებაში წარუშლელი კვალი დატოვა. პროფესიის არჩევანში მამა და ბიძა შეუვალები იყვნენ. მათ უნდოდათ, რომ მეტალურგიულ ფაკულტეტზე ჩამებარებინა.

– რატომ სურდა მამას ასე დაჟინებით, რომ მეტალურგის პროფესიას დაუფლებოდით?

– გარკვეულწილად, ეს იყო მისთვის გარანტია, რომ მე ზესტაფონში დავბრუნდებოდი და აქედან აღარასდროს წავიდოდი. მაგალითი კი იყო ჩემი ბიძა, რომელიც რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პირველი დამწყები მეტალურგების შემადგენლობაში გახლდათ. მათ რუსეთის ქარხნებში მიიღეს გამოცდილება, ჩამოვიდნენ და შრომობდნენ რუსთავში.

– ჩანს, მეტალურგია თქვენთვის საინტერესო აღმოჩნდა, რადგან ამ სფეროში საქმიანობის 35-წლიანი კარიერა გაქვთ?

– დიახ, ეს სფერო ჩემთვისაც ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. 35 წელია მშობლიურ ზესტაფონში ამ მიმართულებით ვმუშაობ. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში დაახლოებით 20 სხვადასხვა თანამდებობაზე ვიყავი. თავიდან ოსტატის თანაშემწედ დავიწყე მუშაობა და დირექტორის თანამდებობამდე, ყველა საფეხური გავიარე.

– რატომ არის ამ ქარხნის ფუნქციონირება ზესტაფონის მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი და თქვენი დირექტორობის პერიოდში რა შეიცვალა ქარხანაში?

– ეს ქარხანა მუნიციპალიტეტისთვის უმნიშვნელოვანესია თუნდაც იმიტომ, რომ აქ 1800 ადამიანია დასაქმებული, რომლებიც სამედიცინო დაზღვევას ოჯახებით, მათ შორის შვილებით 25 წლის ასაკამდე იღებენ, გარდა ამისა, ჩვენთან პერიოდულად მუშაობენ სხვადასხვა სერვისის შემსრულებლები. მთლიანობაში, ქარხანასთან დაკავშირებულია დაახლოებით 10-12 ათასი ადამიანი, რომლებიც ოჯახებისთვის სარჩო-საბადებელს შოულობენ. ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მუნიციპალიტეტისთვის, არამედ რეგიონისთვისაც. რაც შეეხება ჩემს დირექტორობას. ჩემი ხელმძღვანელობით ქარხანაში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. ჩვენი მეტალურგიული წარმოების ძირითადი აგრეგატი, ღუმელები, თავისი კონსტრუქციული მოწყობით, ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, რომ გამოშვების პროცესებში გაფრქვევა არ მომხდარიყო. ამ მხრივ სერიოზული პრობლემები გვქონდა. ჩვენთვის ასე მუშაობა მიუღებელი იყო – ამ მუნიციპალიტეტის მკვიდრნი ვართ, ჩვენი შვილები აქ იზრდებიან და არც ერთი საწარმოს ფუნქციონირება არ უნდა ხდებოდეს ადამიანების ჯანმრთელობის ხარჯზე. მიზნად დავისახე, როგორმე მიგვეღწია ისეთი კონსტრუქციის შემუშავებისთვის, რომ მუშაობის პროცესში ატმოსფერულ მავნე ნივთიერებების გაფრქვევა არ მომხდარიყო.

– მიზანს მიაღწიეთ და დღეს თამამად შეგიძლიათ თქვათ, რომ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა ჰაერს არ აბინძურებს?

– დიახ, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ შევძელით გამწმენდი მოწყობილობის რეკონსტრუქცია ჩაგვეტარებინა. ფაქტობრივად, ძველი რუსული წარმოების სხვადასხვა ტიპის კონვეერები მთლიანად ჩავხსენით პროცესიდან და დავაყენეთ ევროსტანდარტის ფილტრები. ანუ, მტვერი აბსოლუტური ჰერმეტიზაციის პირობებში მოძრაობს ფილტრიდან მტვრის დამგუნდავებლამდე და შემდეგ ისევ წარმოებაში ეშვება. მეორე მიმართულება თავად ღუმელის კონსტრუქციის შეცვლა იყო. ეს საკმაოდ დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ მეპატრონეები წამოვიდნენ ამ ნაბიჯებზე. პროცესში ჩავრთეთ გამოცდილი პროფესიონალები, საქართველოდან და უკრაინიდან, თუმცა პირველი მცდელობა უშედეგო გამოდგა, რის შემდეგაც საბოლოოდ, ჩვენმა ინჟინრულმა ხედვამ გაამართლა. ბოლო ღუმელი სულ რაღაც 4-5 თვის წინ გავუშვით და ყველამ ერთხმად აღიარა, რომ აბოლება, ფაქტობრივად, არის ნული. ახლა უკვე დროა საჭირო. 4 ღუმელზე ეს პროცესი უკვე განხორციელებული გვაქვს. ახალი კონსტრუქციის პირობებში, მალე თამამად შევძლებთ თქმას, რომ არ ვაბინძურებთ გარემოს,

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მოსახლეობისთვის. დღევანდელი მონაცემებით კი, პირველ მოსახლესთან კანონმდებლობით დაშვებულ ზღვრულ ნორმებს ვაკმაყოფილებთ.

– ახალი კანონით, საწარმოებს აქვთ ვალდებულება, დაამონტაჟონ თვითმონიტორინგის ელექტრონული სისტემები. იმ კატეგორიას ეკუთვნით, ვინც ამ ცვლილებას აპოტესტებს თუ თვითმონიტორინგის სისტემები ქარხანაში დაამონტაჟეთ?

– არ ვაპროტესტებ, მეტალურგია ზესტაფონის ბევრი მკვიდრის საარსებო წყაროა, მაგრამ ვიმეორებ, ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ადამიანების ჯანმრთელობის ხარჯზე. ამას ჩვენ ყოველთვის ვითვალისწინებდით. ჩვენი საწარმო მაღალი სოციალური პასუხისმგებლობისაა და ჩვენთან უკვე დიდი ხანია თვითმონიტორინგის სისტემა დამონტაჟებულია. სანამ სახელმწიფო მიიღებდა ამ გადაწყვეტილებას, საკუთარი ინიციატივით, ეს მოწყობილობები შევიძინეთ და დავამონტაჟეთ ქარხნიდან უახლოეს მოსახლემდე, ოთხივე მიმართულებით. ფაქტობრივად, ჩვენ „პირველი მერცხლები“ ვიყავით. დღეს უკვე, როგორც კანონმდებლობა მოითხოვს, თვითმონიტორინგის სისტემები მუშაობს, ჩართულია ონლაინსისტემაში და მონაცემებზე წვდომა მხოლოდ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კი არა, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს. ასევე უნდა აღვნიშნო, რომ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად განვახორციელეთ გამწვანების პროექტი – ქარხნის მთელი პერიმეტრის გაყოლებაზე, სოფელ საქარის მხრიდან, ჭადრაკულად დავრგეთ წიწვოვანი და ფოთლოვანი ხე-მცენარეები და საქარე ზოლი გავაშენეთ. ზოგადად, გამწვანებაზე თანხებს არასდროს ვზოგავთ. ასევე განვახორციელეთ პროექტი „გაამწვანე მომავალი“, რომლის ფარგლებშიც, 25 ათასი ძირი ნერგის განაშენიანება დავაანონსეთ და საბავშვო ბაღების, სკოლების, გამგეობების წარმომადგენლების ჩართულობით 18 ათასი ძირი ნერგი უკვე დავრგეთ, მათ შორის უდიდესი ნაწილი ქარხნის ტერიტორიაზე.

– ამაზე ზრუნვა, გამარჯვების შემთხვევაში, მერის პოზიციიდან მოგიწევთ. პოლიტიკურად გააქტიურება რატომ გადაწყვიტეთ?

– სიმართლე გითხრათ, ამ გადაწყვეტილების მიღება, არ იყო მარტივი. კონსულტაციების და კარგად დაფიქრების შემდეგ, ახალ ველზე გამოვედი. 2002-2005 წლებში ზესტაფონის საკრებულოში კი ვიყავი, მაგრამ მაშინ დამოუკიდებელი კანდიდატი გახლდით, იმ დროს პოლოტიკური პარტიის წევრი არ ვყოფილვარ. იციან ზესტაფონელებმა რომ ამ მიმართულებით დიდი გამოცდილება არ მაქვს, მაგრამ შეხვედრებზე ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ჩემი მენეჯერული გამოცდილების და იმის იმედი აქვთ, რომ მექნება საშუალება უფრო დიდი საქმეები ვაკეთო. „ქართული ოცნება“ ბიზნესს ყოველთვის ედგა გვერდით და თავისუფალი საქმიანობის შესაძლებლობას აძლევდა. მეც ყოველთვის ვგრძნობდი თავისუფლებას და ამავდროულად – ხელშეწყობას ხელისუფლებისგან. მმართველი გუნდის ეს დამოკიდებულება მაძლევს საბაბს ვიფიქრო, რომ სწორედ მათ გვერდით, მათთან ერთად, მათი ხელშეწყობით მომეცემა ჩემი შესაძლებლობების გამოვლენისა და რეალიზების საშუალება.

– და რა შესაძლებლობების გამოვლენას აპირებთ, რა მიმართულებით იაქტიურებთ და რა გეგმები გაქვთ მშობლიურ მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით?

– მნიშვნელოვანია, შევკრიბო ისეთი გუნდი, რომელიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში იქნება სრულად მობილიზებული, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტისა და მისი მოსახლეობის მნიშვნელოვანი პრობლემების ჯერ იდენტიფიცირება მოახდინოს და შემდეგ მათი გადაჭრისთვის იშრომოს. აუცილებლად ვითანამშრომლებთ ახალგაზრდებთან. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მათ შევუქმნათ ხარისხიანი განათლების მიღების პირობები და საბოლოო ჯამში, მუნიციპალიტეტში შევქმნათ ისეთი კონკურენტული გარემო, რომ მათთვის საინტერესო იყოს უკან დაბრუნება და მშობლიურ ზესტაფონში მოღვაწეობა. ხელისუფლება მოქალაქეებს ძალიან მნიშვნელოვან პროგრამებს სთავაზობს. მაგალითად, „აწარმოე საქართველოში“, „დანერგე მომავალი“, ასევე გაიცემა აგროსესხები. არიან ადამიანები, ვისაც არ ხელეწიფება პროექტების შემუშავება. მათ აუცილებლად გავუწევთ დახმარებას. და რაც მთავარია, ყოველთვის მექნება კონტაქტი ჩემ ამომრჩეველთან. მათთან ერთად, მათი ინტერესებიდან გამომდინარე დავსახავ გეგმებს და შემდეგ, მათ განსახორციელებლად, თავდაუზოგავად ვიშრომებ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ზესტაფონელების კეთილდღეობისთვის ყველაფერს გავაკეთებ. ეს ჩემთვის, პრინციპის საკითხია – 2019 წელს ზესტაფონის საპატიო მოქალაქის წოდება მომანიჭეს. ეს უდიდესი პატივია. ამ სტატუსს ძალიან ვუფრთხილდები. ეს სტატუსი პასუხისმგებლობასაც მიორმაგებს, რომ ჩემი ზესტაფონისთვის, რაც შეიძლება მეტი კარგი საქმე გავაკეთო.

– „საპატიო ზესტაფონელი“ შეძლებთ, რომ ზესტაფონელებმა 4 წლის მერე „საპატიო მერის“ წოდებაც მოგანიჭონ?

– ამის მცდელობა ნამდვილად მექნება. შევეცდები, ადამიანებს გავუჩინო სამართლიანობის განცდა. საკითხების გადაჭრა იქნება, პროექტების გადანაწილება თუ დახმარება, ვეცდები ყველაფერი მოხდეს სამართლიანად. ვეცდები, „საპატიო მერიც“ ვიყო.

მეტალურგების ოჯახური იდილია და „ორი ახალი სიცოცხლე“

მომავალი მეუღლე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გაიცნო. წარმოშობით ხონელი, ბათუმში მაცხოვრებელი ნონა ძიძიგური მისი ჯგუფელი იყო. საინტერესო და ემოციებით დახუნძლული სტუდენტობის მიწურულს შეუღლდნენ. სწავლის დასრულების შემდეგ წყვილი საცხოვრებლად და სამუშაოდ, ზესტაფონში ჩავიდა.

ორი ვაჟი ჰყავთ. ზურაბ გველესიანი 1988 წელს მოევლინა სამყაროს. კერძო კომპანიაში მუშაობს. ჰყავს მეუღლე თამარ კიკნაველიძე, რომელიც შვილების აღზრდითაა დაკავებული. ირაკლი გველესიანი 1995 წელს დაიბადა. სარეკლამო ბიზნესშია. ჰყავს მეუღლე მერი წერეთელი, რომელიც წარმატებული იურისტია, „საქართველოს ბანკში“ მუშაობს და შვილის მოლოდინშია.

„ეს ადამიანები სიცოცხლით მავსებენ“, – შვილიშვილებზე საუბარს ასე იწყებს. ამ დროს ხმაში სითბო ეღვრება და თვალები უბრწყინდება. 10 წლის „ვასილ მესამე“ და 3 წლის პატარა ქალბატონი მარიამი მისი „ორი ახალი სიცოცხლეა“, მანამ, სანამ სამგზის ბაბუა გახდება.

ვასილი და მარიამი ბაბუას თავისი უნარებით აოცებენ. „ინდიგო“ ბავშვებისგან თითქოს გასაკვირი არაფერია, მაგრამ მაინც უჭირს დაჯერება, რომ ისინი, კომპიუტერული თუ სხვადასხვა ტექნოლოგიური საშუალებების „უსწავლელად“ მათ გამოყენებას ახერხებენ. „საოცარია, მაგრამ როგორც თევზი წყალში, ისე გრძნობენ თავს სოციალურ ქსელებში, ინტერნეტში ინფორმაციების მოძიებაში. ამაზე ხშირად ვსაუბრობ მეგობრებთან. ვმსჯელობთ, რომ „მფრინავი ხალიჩები“, წყალქვეშა ნავები, რომლებიც ერთ დროს ზღაპრულად აღიქმებოდა, განხორციელდა. და აღარ მიკვირს, როცა პრესაში ვკითხულობ, რომ შექმნეს ისეთი ალგორითმი, ჩიპი, რომელიც შეიძლება ნეირონებით ტვინთან დააკავშირო და პროგრესი განავითარო. ვფიქრობ, ჩემი შვილიშვილების თაობა ამ პროგრესის დიდი თანამონაწილე იქნება. ვისურვებდი, ჩვენმა ბავშვებმა ეს პროცესი ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენონ. ოღონდ ისე, რომ ჩვენი იდენტობა არ დაკარგონ და მაქსიმალურად შეინარჩუნონ ქართული ფენომენი, ტრადიცია, ფოლკლორი. ასე უნდა მიდიოდეს ცხოვრება, ერთის მხრივ ტრადიციით, მეორე მხრივ პროგრესით“, – აცხადებს ვასილ გველესიანი.

არ ეთანხმება გამოთქმას: „შვილიშვილი შვილზე ტკბილია“. ამბობს, რომ შვილიშვილის სიყვარულისკენ შვილის სიყვარული გიბიძგებს, ის იმიტომ გიყვარს, რომ შენი შვილის შვილია.

არასდროს უფიქრია, რომ რომელიმე ვაჟი შვილს მის სახელს დაარქმევდა. ბიჭები გააფრთხილა კიდეც, თქვენ და თქვენ მეუღლეებს რაც გენდომებათ, ის დაარქვითო. ბიჭები კი გააფრთხილა, მაგრამ რძალმა „იძალა“ და მისი თხოვნით, პირველი შვილიშვილი კანდიდატისა და დიდი ბაბუის სახელს ატარებს, როგორც გამოგვიტყდა, ეს ძალიან ახარებს.

ზოგჯერ ახალგაზრდებთან ერთად დარბაზში ფეხბურთს ან კალათბურთს თამაშობს. სპორტით მთელი ბავშვობა და ახალგაზრდობა დაკავებული იყო. ცდილობს სპორტული აქტივობისთვის დრო ყოველთვის გამონახოს. სხვათაშორის, ქარხნის ჩემპიონატებსაც ატარებდა ფეხბურთში და იმედი აქვს, რომ ეს ტრადიცია გაგრძელდება.

თავისუფალ დროს ძირითადად ოჯახთან ერთად ატარებს. მისი კომფორტის ზონა სწორედ აქაა. აქ, ყველა წევრი ცდილობს, ერთმანეთს ასიამოვნოს, გაახაროს. ამიტომაც უყვართ ყველაზე მეტად ახალი წელი. მორთული ნაძვისხის ქვეშ ერთმანეთს სიმბოლურ საჩუქრებს ახვედრებენ. როცა 12 საათი ჩამოჰკრავს, სურვილებს ჩაუთქვამენ. ბევრი სურვილი აქვს, რომელიც წლიდან წლამდე უცვლელია – ოჯახის წევრებისა და ახლობლების ჯანმრთელობა, წინსვლა... სურვილებს შორის არის ერთი, რომელიც ზესტაფონს უკავშირდება. უნდა, რომ მშობლიური მუნიციპალიტეტი უფრო განვითარებული, ძლიერი და ბედნიერი ზესტაფონელების სამოსახლო იყოს. ბედნიერია, რომ გამარჯვების შემთხვევაში, მიეცემა შანსი, ამ სურვილის ახდენაში წვლილი შეიტანოს.

ჯანმრთელობის დაცვა

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. **2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტზე,** გამოიყო 69 114 078 ლარი, დაფინანსდა 158 600 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (394 324 ლარით 394 324 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (7 333 993 ლარით 103 349 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (41 255 334 ლარით 32 166 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (11 457 819 ლარით 11 550 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (3 072 870 ლარით 5 132 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (2 513 099 ლარით 431 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში, პროგრამით, **ზესტაფონის მუნიციპალიტეტში,** დაფინანსდა 9 634 ბენეფიციარი (610 397 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. 2019 წელს, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი 96.5% იყო. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ზესტაფონში,** სტაციონარული მკურნალობით 184-მა (649 050 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 1 496-მა პაციენტმა (1 169 819 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი,

წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, **მუნიციპალიტეტში ანტენატალური სერვისის მიმღებია** 8 645 ორსული (478 787 ლარი). **მედიკამენტებით უზრუნველყოფილი** – 2 869.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ზესტაფონის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 1336 პირი (274 294 ლ).**

2012 წლის შემდეგ, **ზესტაფონის მუნიციპალიტეტის** მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **ზესტაფონში,** 2013-2021 წლებში, სულ 1007 შემთხვევა 1 634 895 ლარით დაფინანსდა. **2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ზესტაფონის მუნიციპალიტეტს 55 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

2014-2020 წლებში, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: სოფელ ზოვრეთში, ამბულატორიის რეაბილიტაცია (20 000 ლარი); სოფელ პირველ სვირში ამბულატორიის მშენებლობა (87 000 ლარი). ვანი, **ზესტაფონი**, თერჯოლა, მარნეული, ქუთაისი, ქარელი, წყალტუბო – იძულებით გადაადგილებული პირების უზრუნველყოფა საცხოვრებელი პირობებით (საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში არსებული შენობის რეაბილიტაცია – 335 ბინა) – 11 940 101 ლარი.

2013 წელთან შედარებით, **3,6-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 334,8 ათასი ლარი შეადგინა (2013 წ. – 91,9 ათასი ლ).

მუნიციპალიტეტი, 2012 წლიდან დღემდე, ჯანდაცვის სფეროში, ახორციელებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პროგრამას, რომელიც 2021 წლის მდგომარეობით, 5 ქვეპროგრამას მოიცავს: ეპიდზედამხედველობა (მათ შორის, ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა, მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი, ენტომოლოგიური ღონისძიებები), იმუნიზაცია, ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, ზედამხედველობის სისტემით სტატისტიკური მონაცემების რეგისტრაცია, ხარისხის შეფასება, დაზუსტება და გადაცემა დადგენილი წესით.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურებასა და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ზესტაფონის მუნიციპალიტეტში,** სახელმწიფო პენსიის მიმღებია 13 278 პირი (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 2.2-ჯერ – 16 236 157-დან 36 203 678 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში სულ 229 332 913 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ზესტაფონში,** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 მდგომ.) 200 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 3,3-ჯერ – 264 345-დან 893 052 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 6 224 272 ლარი გაიცა. **მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. **ზესტაფონის მუნიციპალიტეტში,** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 1 992 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ 1,6-ჯერ, 2 600 ათასიდან 4 174 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 32 777 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 7 428 ათასი, შშმ პირებზე – 3 445 ათასი, ბავშვებზე – 12 258 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **ზესტაფონში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 2821 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 6-ჯერ – 809 386-დან 4 830 598 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 31 191 496 ლარი.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში 801 დევნილია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 235 926-დან 447 930 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 3 348 944 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **ზესტაფონის მუნიციპალიტეტში** დაკმაყოფილდა 241 ოჯახი, მათ შორის: 117 ოჯახს გადაეცა ბინა ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში, პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 25 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 134 დევნილ ოჯახს დაუკანონდა. **საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება.** ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დაკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) **ზესტაფონში,** დაფინანსებულია 319 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 3 711 450 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 605 100 ლარი.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ჩართული იყო 1631 ოჯახი, 2021 წელს(ივნისის მდგომარ.) – 1789. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით მუნიციპალიტეტში, 2020 წელს ისარგებლა 432-მა პირმა, 2021 წელს (ივნისის მონაცემებით) – 480. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტის დახმარებასთან ერთად, დამატებით 100 ლარი (6 თვით) – პროგრამაში, 2020 წელს, ჩაერთო 793 პირი, 2021 (ივნისის მდგომ.) – 804.

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამით დასაქმების სახელწიფო სააგენტომ გასცა კომპენსაციები იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. **ერთჯერადი 300 ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან ერთჯერადი, 300 ლარიანი კომპენსაციები გაიცა იმ პირებზე, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა (121 634 პირზე, ჯამში, 36 490 200 ლარი). **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში,** დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით (6 თვე თვეში– 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, 2020 წელს კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს, ჯამში, გაიცა 141 909 200 ლარი.

2013 წელთან შედარებით, **2,1 ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 1 300,0 ათასი ლარი შეადგინა. (2013 წ. – 632,9 ათასი ლ).

მუნიციპალიტეტი 2012 წლიდან დღემდე, სოციალური დაცვის სფეროში, ახორციელებს შემდეგ პროგრამებს (2021 წლის მდგომარეობით): ოჯახებისა და ბავშვების (ახალშობილები) სოციალური დაცვა (ქვეპროგრამები – ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა); ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მხედველობით მკვეთრ და მნიშვნელოვანი სტატუსის მქონე ბენეფიციარებზე ყოველთვიური ფინანსური დახმარება; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, ასევე სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ბრძოლის მონაწილეების ფულადი დახმარება; ფენილკეტონურიით დაავადებული ბავშვების ფულადი დახმარება; სამედიცინო მომსახურეობის ფულადი დახმარება.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები – პრიორიტეტია მუნიციპალიტეტის მერიის შემუშავებულ იქნას სოციალური პაკეტები, მოწყვლადი ოჯახების გაძლიერების მიზნით არაერთჯერადად.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠᲒᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების საგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების საგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია. ზესტაფონში ფუნქციონირებს 41 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, მათგან 8 – ქ. ზესტაფონში, ხოლო 33– სოფლად.

2013 წლის შემდეგ, საქართველოს მასშტაბით, საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა ზესტაფონში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება. 2020 წელს განათლების მიმართულებით მუნიციპალიტეტის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 4 მლნ 927,8 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის, 2 მლნ 619,3 ათასი – სკოლამდელი განათლების მიმართულებით. 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 1 მლნ 129, 3 ათასი ლარი იყო.

2013-2021 წლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ საბავშვო ბაღებს. მათ შორის: 2014 წელს – ქ. ზესტაფონში და მუნიციპალიტეტის სოფლებში 20 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე სულ 1 მლნ 73 ათასი ლარი დაიხარჯა; ქ. ზესტაფონის №7, სოფ. ქვედა საქარის №33 და №35, სოფ. სვირის №12 და სოფ. ცხრაწყაროს №18 საბავშვო ბაღების მშენებლობაზე სულ 2 მლნ 384,4 ათასი ლარი დაიხარჯა. **2015 წელს** დასრულდა: ქ. ზესტაფონის №2 (69 ათასი ლარი), №3 (57, 8 ათასი ლარი), №5 (63,4 ათასი ლარი) და 7 სოფლის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია (ჯამში – 189 ათასი ლარი); ახალი შენობები აშენდა ქ. ზესტაფონის №7 (341,7 ათასი ლარი), მეორე სვირის №12 (332,2 ათასი ლარი), ქვედა საქარის №35 (287,1 ათასი ლარი) საბავშვო ბაღებისთვის. **2016 წელს** დასრულდა: ახალი შენობების მშენებლობა ქვედა საქარის №33 (335,1 ათასი ლარი) და სოფ. ცხრაწყაროს №18 (319,3 ათასი ლარი) საბავშვო ბაღებისთვის. ასევე, გარემონტდა კვების ბლოკი შორაპნის (№41) საბავშვო ბაღში. **2017 წელს** დასრულდა მუნიციპალიტეტის 9 სოფლისა და ქალაქის №2, №3, №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობების რეაბილიტაცია (ჯამში, 629,8 ათასი ლარი), გარემონტდა ქალაქის სამი და მუნიციპალიტეტის 9 სოფლის საბავშვო ბაღები. **2018 წელს** სოფ. არგვეთის №34 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციას 90,3 ათასი ლარი მოხმარდა; ცენტრალური გათბობის სისტემები დამონტაჟდა ქალაქის №1, №2, №3 და №4 საბავშვო ბაღებში. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ზორვეთის (№27) საბავშვო ბაღს. **2019 წელს** დასრულდა: ქ. ზესტაფონში №4 (65,4 ათასი ლარი); სოფ. დილიკაურისა (72,5 ათასი ლარი) და კლდეეთის №20 საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია (63,2 ათასი ლარი); კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა 11 საბავშვო ბაღს. ცენტრალური გათბობის სისტემები დამონტაჟდა ზორვეთის, საქარისა და ბოსლევის საბავშვო ბაღებში. **2020 წელს** მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის 14 პროექტი განხორციელდა (ჯამში, 399,8 ათასი ლარი). აშენდა ქვემო საზანოს საბავშვო ბაღი (2 მლნ 182 ათასი ლარი).

შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, საბავშვო ბაღებში **აღსაზრდელთა რაოდენობა** 1696-დან 1830-მდე გაიზარდა, **კვების თანხა** კი თითოეულ აღსაზრდელზე – 1,30-დან 2,26 ლარამდე, სრულფასოვანი გახდა ბავშვთა **კვების რაციონი.** საბავშვო ბაღებში სულ დასაქმებულია 115 **აღმზრდელი**. მათი **ხელფასი,** 2012 წლის შემდეგ, 244 ლარიდან 480 ლარამდე გაიზარდა. საბავშვო ბაღებს 8 ფსიქოლოგი, 17 ექთანი, 8 ლოგოპედი და 7 მეთოდისტი ემსახურება. 2017 წლიდან საბავშო ბაღების გა-

ერთიანებაში დაინიშნა ინკლუზიური განათლების სპეციალისტი.

სასკოლო მზაობის პროგრამა დანერგილია მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების 17 ჯგუფში. პროგრამაში ჩართულია სასკოლო ასაკის 587 ბავშვი.

ზოგადი განათლება

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 33 საჯარო სკოლა (ქალაქში – 7, სოფლად – 26), სადაც 7758 მოსწავლე, 902 მასწავლებელი და 40 სპეციალური მასწავლებელია. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 195 სსსმ მოსწავლე. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს 9 ექიმი ემსახურება, 11 საჯარო სკოლას – 23 მანდატური.

2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, განახორციელა სხვადასხვა პროგრამები, მათ შორის: 2019 წელს, „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში, 6 საჯარო სკოლას 118 ლეპტოპი გადაეცა. იმავე წელს, **ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის პროგრამით,** 4 საჯარო სკოლას – 40 კომპიუტერი.

2017-2020 წლებში, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს 1808 **სასკოლო ჟურნალი** და 196985 **სახელმძღვანელო** უფასოდ დაურიგდა. 2013-2019 წლებში, კომპიუტერით დასაჩუქრდა 4455 პირველკლასელი, 276 კლასის დამრიგებელი და 549 წარჩინებული მოსწავლე, **მათ შორის:** 2017-2019 წელს, 2026 – პირველკლასელი, 125 – კლასის დამრიგებელი და 323 წარჩინებული მოსწავლე. ამავე პერიოდში, **წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამით,** ზესტაფონის საჯარო სკოლებში გამოვლინდა 572 ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი, მათ შორის, 2018-2019 წლებში 187 ოქროსა და 52 ვერცხლის მედალოსანი. **სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის** პროგრამით, 2014-2019 წლებში, 89 სასკოლო პროექტი დაფინანსდა. **საჯარო სკოლის ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში** ჩართულია 33 საჯარო სკოლის (181 მიმართულება), 2467 მოსწავლე (2018-2019 ს/წ I სემესტრ.); ექიმის კაბინეტი ფუნქციონირებს 8 საჯარო სკოლაში. **„ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამა“** („ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია“) ხორციელდება 3 საჯარო სკოლაში. **ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამით,** 2018-2019 წლებში, **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით,** ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების აღჭურვის 23, **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფის 50 პროექტი განხორციელდა, 2016-2019 წლებში, **ლოკალური უსადენო ქსელით** 8 სკოლა აღიჭურვა. **2012-2019 წლებში,** მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 111 პროექტი განხორციელდა. **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების** მიზნობრივი პროგრამებით კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგ-მოდულები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2021 წლებში, განხორციელდა სხვადასხვა სახის 77 ინფრასტრუქტურული პროექტი. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში **ადაპტირებული** 26 საჯარო სკოლაა. ცენტრალური გათბობა მოწყობილია 17 სკოლაში. მათ შორის: **2013 წელს** ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 20 საჯარო სკოლას, რაზეც სულ 1 მლნ 68,9 ათასი ლარი დაიხარჯა; **2014 წელს –** საჯარო სკოლებში ნაწილობრივი რეაბილიტაციის 11 პროექტსა და ქ. ზესტაფონის №7 სკოლაში სამედიცინო ოთახის მოწყობაზე სულ 602,9 ათასი ლარი დაიხარჯა. დასრულდა სოფ. როდინაულის ახალი სკოლა სადგურ სვირში. **2015 წელს** საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 13 პროექტი, 2 საჯარო სკოლის სამედიცინო ოთახების მოწყობა და ქ. ზესტაფონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ნაწილობრივი რეაბილიტაცია სულ 1 მლნ 549,7 ათასი ლარით დაფინანსდა; **2016 წელს** განხორციელდა 2 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია და 2 საჯარო სკოლაში სამედიცინო ოთახის მოწყობა (სულ 138,8 ათასი ლარი). **2017 წელს:** გათბობის სისტემა მოეწყო ქ. ზესტაფონის №6 საჯარო სკოლაში („ათასწლეულის გამოწვევის ფონდიდან“ 262, 9 ათასი ლარი). რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფ. კლდეეთის (104, 7 ათასი ლარი), ქ. ზესტაფონის №7 (339, 5 ათასი ლარი), ქვედა საქარის (158, 3 ათასი ლარი), დილიკაურის (123, 8 ათასი ლარი) საჯარო სკოლების რეაბილიტაციაზე, ასევე ქ. ზესტაფონის №1 საჯარო სკოლის რეაბილიტაციასა და გათბობის სისტემების მოწყობაზე 1 მლნ 308, 6 ათასი ლარი დაიხარჯა და სხვ. **2017-2019 წლებში,** ქ. ზესტაფონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ნაწილობრივ რეაბილიტაციაზე 39, 6 ათასი ლარი დაიხარჯა. **2018 წელს** დასრულდა ქ. ზესტაფონის №1 (951, 7 ათასი ლარი) და სოფ. პირველი სვირის (100, 9 ათასი ლარი) საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტის სოფლების საჯარო სკოლებში განხორციელდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტი. **2019 წელს –** ზესტაფონის საჯარო სკოლების 16 ინფრასტრუქტურულ პროექტზე, ჯამში, 790,5 ათასი ლარი დაიხარჯა. **დასრულდა** სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის მშენებლობა (ჯამურად 4 მლნ 568, 2 ათასი ლარი). **2019 წელს დაიწყო და ამჟამად მიმდინარეობს:** ქ. ზესტაფონის №1 საჯარო სკოლის რესტავრაციარეაბილიტაციის სამუშაოები (2 მლნ 516,9 ათასი ლარი).

2020 წელს დასრულდა სოფ. ზედა საქარის, 300 მოსწავლეზე გათვლილი, საჯარო სკოლის მშენებლობა, რისთვისაც მუნიციპალური განვითარების ფონდიდან (მგფ) 2 მლნ 517 ათასი ლარი დაიხარჯა. **ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით,** საჯარო სკოლებში სველი წერტილების მოწყობის 17 პროექტი განხორციელდა (ჯამში, 617,2 ათასი ლარი). **ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ამჟამად მიმდინარეობს:** სოფ. მეორე სვირის №2 საჯარო სკოლის იატაკის რეაბილიტაცია, კედლების გამაგრება (31 ათასი ლარი) და ბოსლევის სკოლაში გათბობის სისტემის მოწყობა (60 ათასი ლარი). **მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს** 240 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის მშენებლობა სოფ. არგვეთაში (3 მლნ 655,2 ათასი ლარი).**„ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის“ (MCC)** მოვლა-პატრონობის პროგრამაში, **2019-2020 წლებში**, ზესტაფონის მუნიციალიტეტის 4 საჯარო სკოლა ჩაერთო. 2021 წელს ჩართულია ქ. ზესტაფონის №6 და №7 საჯარო სკოლები. ამ პროგრამის ფარგლებში, MCC – ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დაფინანსებით, **დასრულებულია** ქ. ზესტაფონის №6 (494, 4 ათასი ლარი), ზესტაფონის №7 (597, 6 ათასი ლარი), დილიკაურის (445, 1 ათასი ლარი) საჯარო სკოლების რეაბილიტაცია.

პროფესიული განათლება

ზესტაფონში ფუნქციონირებს სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“, რომელიც ახორციელებს პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამას – **„შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“.** მსმენელს შესაძლებლობა აქვს, მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკულ გარემოში, პროფესიონალი ინსტრუქტორების ზედამხედველობით გაიღრმავოს. კოლეჯში სწავლა და მის ბაზაზე არსებული კეთილმოწყობილი **საერთო საცხოვრებლით** სარგებლობა დაფინანსებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

კოლეჯი 2018 წელს გაიხსნა და წლის განმავლობაში სამშენებლო მიმართულებით 600 კადრს გადაამზადებს. **მთლიანი კურსის გავლა უფასოა და შერჩეული აპლიკანტები კოლეჯის საერთო საცხოვრებელში იცხოვრებენ.** ამის გამო კოლეჯი ქვეყნის მასშტაბით დაინტერესებულ პირებს მოემსახურება. **სწავლის მსურველთა ასაკი შეუზღუდავია.** შენობა აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და სპორტული დარბაზით. კოლეჯმა სტუდენტთა პირველი ნაკადი 2019 წელს მიიღო (24 ახალი სტუდენტი, 54 აკადემიური და ადმინისტრაციული კადრი). 2019 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, მიზნობრივი პროგრამული დაფინასების მიზნით, კოლეჯს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 756,1 ათასი ლარი გამოუყო, 2020 წელს კი 724,6 ლარი. 2021 წლისთვის კოლეჯი ა(ა)იპ კონსტრუქტ2“ პროფესიული მომზადება/გადამზადების 11 პროგრამას სთავაზობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას. ყველა პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კოლეჯის თანადამფუძნებელი სამშენებლო კომპანია „ბკ ქონსთრაქშენი“. 11 მოკლევადიანი პროფესიული პროგრამით, კოლეჯს ყოველწლიურად 600-მდე სერტიფიცირებული სპეციალისტის მომზადება შეუძლია. **2017-2021 წლებში,** საჯარო სკოლებში პროფესიული უნარების კურსების დანერგვის მიზნით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, 41 პროექტი განხორციელდა.

„ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო; გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდრატების დანერგვა და ყველასათვის ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება;
- დაგეგმილია: სოფელ წიფლავაკისა (№29) და ცხენთაროს (№10) საბავშვო ბაღების მშენებლობები; 2023 წელს: სოფელ ძირულის (№25) ბაღის მშენებლობა; №2 საბავშვო ბაღის შენობის ნაწილის კოსმეტიკური რემონტი;
- ეტაპობრივად გაიზრდება საბავშვო ბაღების აღმზრდელ-პადაგოგთა ხელფასები;
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- დამტკიცდება და დაინერგება ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული სტანდარტები და პროცედურები, განხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები სტანდარტების დასაკმაყოფილებლად;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ზესტაფონში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის: მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდება 4 ავარიული საჯარო სკოლის (მეორე სვირის №1, ცხრაწყაროს, ქვედა საზანოს №3 და შორაპნის) გამაგრება/სრული რეაბილიტაცია; სკოლის ბიუჯეტიდან 2 საჯარო (კვალითი და რკვიის) სკოლაში რამოდენიმე საკლასო ოთახის სრული რეაბილიტაცია;
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲐ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები: ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება (უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმი და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი), ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა, საბავშვო ბიბლიოთეკა, საქალაქო ბიბლიოთეკა, 13 სასოფლო-საბიბლიოთეკო განყოფილება (შროშა, ძირულა, შორაპანი, საღვინე, ფუთი, ცხრაწყარო, კვალითი), სამხატვრო სკოლა. კულტურისა და შემოქმედების ცენტრი და ცენტრთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ზესტაფონი", ქალთა სიმღერის გუნდი „ჰარმონია", სიმღერის ანსამბლი „ბერმუხა" ბავშვთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ჯავარდენი". საბავშვო თეატრ-სტუდია „იმერეთის მარგალიტები", ხალხური საკრავების ანსამბლი „ჯავარდენი", თოჯინების თეატრი, შემოქმედებითი ხელოვნების სალონი; აა(ი)პ ზესტაფონის რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლა, აა(ი)პ ზესტაფონის ელდარ შალამბერიძის სახელოვნებო სკოლა.

2013 წელთან შედარებით გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს კულტურის მიმართულებით მუნიციპალიტეტის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 1 მლნ 22,9 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 731,2 ათასი ლარით განისაზღვრა.

2014-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში. მუნიციპალიტეტში ეწყობა მუზეუმების ფონდებში დაცული ნამუშევრების გამოფენები, ბიბლიოთეკებში შეტანილი ახალი წიგნების პრეზენტაცია, აქტუალურ თემებზე ტარდება ლექცია-სემინარები, ინტელექტუალური კონკურსი „რა? სად? როდის?", იმართება შემოქმედებითი და საიუბილეო საღამოები, მნიშვნელოვანი თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ადგილობრივი დიზაინერების გამოფენები, საგანმანათლებლო პროექტი „ჩვენი ქალაქის წარსული", 1924 წლის აჯანყებისადმი მიძღვნილი თემატური საღამო, ლექცია თემაზე – „მუზეუმი ჩვენი ტაძარია", მუზეუმების დღე, პროექტები პირველკლასელებისთვის, საშობაო შეხვედრები და სხვ. შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაიზარდა მუზეუმების დამთვალიერებელთა რაოდენობა (2013 წ. – 634, 2019 წ. – 1550), თუმცა, შექმნილი პანდემიური მდგომარეობის გამო, 2020 წელს მუზეუმში დამთვალიერებელთა რაოდენობა 122-მდე შემცირდა.

გამრავალფეროვნდა ბიბლიოთეკებში გამართული ღონისძიებები, მათ შორის, ჩატარდა: კითხვის საერთაშორისო დღე, სარვამარტო ღონისძიება, განხორციელდა პროექტი – „ჩემი საყვარელი წიგნი", აღინიშნა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, გაიმართა ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ხსოვნის საღამო – „გოდერძი ჩოხელი", მხატვრული კითხვის საღამო, „დედაენის" დღე, ღონისძიებები: „წიგნი, მკითხველი და ბიბლიოთეკა", „წიგნი ჩემი მეგობარია", ისტორიული ძეგლების მონახულება – პერფორმანსი შორაპნის ციხეზე და სხვ. შესაბამისად, ბიბლიოთეკებში იმატა მკითხველთა რაოდენობამ (2014 წ. – 4410, 2019 წ. – 9279). თუმცა, კოვიდპანდემიის გამო, ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ მცირე ხნით შეძლო ფუნქციონირება და მხოლოდ 1912 მკითხველი ესტუმრა.

ზესტაფონის კულტურის სახლი

2019 წელს საბიბლიოთეკო სისტემაში ჩატარდა 58 ღონისძიება, მათ შორის: გოდერძი ჩოხელის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო; ლიბერალური მსოფლიოს პრობლემები და ტენდენციები; ქართული ეროვნული მწიგნობრობის ინტეგრირება ევროპასთან; ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; ისტორიული მიმოხილვა შორაპნის ციხეზე; ხმამაღალი კითხვის დღე; მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებითი საღამო; გრძელდება პროექტი – „ჩემი საყვარელი წიგნი"; ანა კალანდაძის დაბადებიდან 95 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება და ა.შ. ყველა ღონისძიება მიმართულია ახალგაზრდობის ცოდნისა და განვითარების დონის ასამაღლებლად, ასევე ეწყობა კონკურსები და ვიქტორინები.

2020 წლის 5 თებერვალს ყველა ბიბლიოთეკაში აღინიშნა წიგნის კითხვის დღე, მაგრამ 12 მარტიდან, პანდემიასთან დაკავშირებით, დაიკეტა ცენტრალური ბიბლიოთეკა და ერთი წლის განმავლობაში არ ფუნქციონირებდა.

ზესტაფონის კულტურისა და შემოქმედების ცენტრთან არსებულმა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა და კულტურის სხვა ორგანიზაციებმა მაყურებელს ბევრი საინტერესო კონცერტი თუ ღონისძიება შესთავაზეს. მათ შორის, **2018-2019 წლებში:** „ნინოობა", იუნკრების დღის, ქალთა დღესასწაულების აღნიშვნა, პირველი პრეზიდენტის იუბილის აღსანიშნავი ღონისძიება, „გვახსოვდეს 9 აპრილი", „დედაენის" დღე, პოეზიის საღამო საჯარო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით, 9 მაისი, ეროვნული სამოსის დღე, დამოუკიდებლობის 100 წელი, საბავშვო თეატრ-სტუდიის საანგარიშო კონცერტი, ბავშვთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ჯავარდენის" კონცერტი, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლ „სტიქიის" კონცერტი, სოხუმის დაცემის და ჯვართამაღლების დღე, პედაგოგის დღე, მეტალურგების დღე, გიორგობა, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ბერმუხას" კონცერტი, საახალწლო კონცერტი, ყოველი კვირის ხუთშაბათს იმართებოდა თოჯინების თეატრის უფასო სპექტაკლები („წითელქუდა", „კომბლე", „სამი გოჭი", „ოქროს წიწილა"), დედამიწის საერთაშორისო დღე, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე და სხვ.

ზესტაფონის რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლისა (სულ 228 მოსწავლე: ფორტეპიანო – 147, ვიოლინო – 10, გიტარა – 21, სიმღერა – 50) და **ელდარ შალამბერიძის სახელობის სახელოვნებო სკოლის მოსწავლეებმა** (სულ-178 მოსწავლე: ფორტეპიანო-113, ვიოლინო – 12, კლასიკური ვოკალი – 14, საესტრადო სიმღერა – 19, გიტარა – 7, ქართული საკრავები – 5, მსოფლიო ხალხთა ცეკვა – 4, ქართული ცეკვა – 7, აერობიკა – 9) **მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კონცერტსა თუ კონკურსში,** მათ შორის: მოცარტის საერთაშორისო კონკურსში, რესპუბლიკურ კონკურსში – „ნორჩი ვირტუოზები", მომავლის ვარსკვლავების გალა კონცერტში, იტალიაში გამართულ საერთაშორისო კონკურსში – „მუსიკალური კალენდარი", პროექტში „ფესტივლიდან ფესტივლამდე", ფესტივალში – „იმერეთის ხმა", სენაკის ფესტივალში, კონკურსში – „რონდო კლასიკა", ფესტივალში – „სახიობა რაჭაში". ომარ გეგუჩაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოში, ბათუმის ფესტივალში, საახალწლო კონცერტებში, პედაგოგთა კონცერტში – „თაობათა ერთობა", რესპუბლიკურ ფესტივალში – „იპოვე შენი ვარსკვლავი", თეორიულ კონფერენციაში – „თაობათა ცვლა", ბორჯომის ფესტივალიში, შიდა სასკოლო კონცერტებში და სხვ.

ყოველწლიურად ტარდება – „ზესტაფონობა", ლირიული სიმღერების ფესტივალი, კონკურსი „სულიკო" , ღვინის ფესტივალი.

2019 წელს კულტურის მიმართულებების ღონისძიებებზე 44,2 ათასი ლარი დაიხარჯა.

2014-2021 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, მათ შორის: ქ. ზესტაფონში (საქარხნოს ქუჩა) კულტურის ცენტრის შენობის რემონტი და გათბობის სისტემის მოწყობა, რაზეც სულ 191,8 ათასი ლარი დაიხარჯა (2014-2015 წ.წ.); რეაბილიტაცია ჩაუტარდა ზესტაფონის მუზეუმების გაერთიანების შენობას – დაიხარჯა 1,4 ათასი ლარი; უშანგი ჩხეიძის სახლ–მუზეუმის სახურავის რეაბილიტაცია 11, 6 ათასი ლარით დაფინანსდა, ელდარ შალამბერიძის სახელობის სახელოვნებო სკოლის დარბაზის რეაბილიტაცია – 70 ათასი ლარით. ამჟამად **მიმდინარეობს** ქალაქის №2 საჯარო ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში შემდეგი პროექტები განხორციელდა: სოფელი როდინაული – არქეოლოგიური სამუშაოები, ტერიტორიის ნაწილის რეკულტივაცია (6 ათასი ლარი); „ევროპის მემკვიდრეობის დღეების" ფარგლებში, საქართველოს ინდუსტრიული მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი პირველი პუბლიკაციის მომზადება (15 ათასი ლარი); შორაპნის ციხე – არქეოლოგიური მომსახურება (8,5 ათასი ლარი); უცხოეთში მოსწავლეების, სტუდენტებისა და ახალგაზრდა სპეციალისტების ხელშეწყობის ფარგლებში, ქ. ზესტაფონის რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლის მოსწავლის ანა კალანდაძის (პედაგოგი – ლელა მინაშვილი) ფინანსური ხელშეწყობა ესპანეთში, საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალ-კონკურსში „ვარსკვლავები ტენერიფეში" მონაწილეობისთვის (5 ათასი ლარი); თეატრის ხელშეწყობა სადადგმო-საგასტროლო ხარჯით (24 ათასი ლარი).

2019 წელს, მთელი საქართველოს მასშტაბით, მათ შორის **ზესტაფონის მუნიციპალიტეტში,** კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა კულტურის სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი – „ინდუსტრიული მემკვიდრეობის ქართული გზა" (პროექტის საერთო ბიუჯეტი – 22,2 ათასი ლარი.)

ზესტაფონის მუნიციპალიტეტს ფარავს კულტურული მარშრუტი – „ალექსანდრე დიუმას კვალდაკვალ", რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ადგილობრივი კულტურული მემკვიდ-

რეობის პოპულარიზაციასა და კულტურული ტურიზმის განვითარებას.

სპორტი

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ზესტაფონის სიმონ საყვარელიძის სახელობის სპორტული სკოლა.

2013 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს სპორტის მიმართულებით მუნიციპალიტეტის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 882,9 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 226,7 ათასი ლარი იყო.

მუნიციპალიტეტში სპორტის პრიორიტეტული სახეობებია: ფარიკაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ძიუდო, კიკბოქსინგი, ქართული ჭიდაობა, სამბო, ტაეკვონდო, კარატე და კრივი.

აღსანიშნავია ზესტაფონელ სპორტსმენთა შედეგები – 2016 წელი: საფეხბურთო გუნდი „მარგვეთი 2006“, რეგიონული ლიგის I ადგილი; საქართველოს ჩემპიონატი 19-წლამდე კალათბურთელ გოგონათა შორის, III ადგილი; იმერეთის პირველობა ვაჟ კალათბურთელებს შორის, III ადგილი; ძიუდოში საქართველოს ჩემპიონატი, II ადგილი, ქართული ჭიდაობა – I ადგილი; საქართველოს ჩემპიონატი სამბოში, I ადგილი; კუნგ-ფუ, საქართველოს ჩემპიონატი, ოთხი I და ოთხი II ადგილი და სხვ.

2018-2019 წლებში: რესპულიკური ტურნირი ძიუდოში – 4 პირველი და 3 მეორე ადგილი; რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში – 7 პირველი და 4 მეორე ადგილი; ხსოვნის ტურნირები – 5 პირველი და 3 მეორე ადგილები; მაჭავარიანის სახელობის ტურნირი ძიუდოში – 4 პირველი და 4 მეორე ადგილები; საერთაშორისო ტურნირი ფარიკაობაში – 2 პირველი და 2 მეორე ადგილი. იმერეთის ღია პირველობა კრივში– 5 პირველი, 4 მეორე და 1 მესამე ადგილები.

2014-2021 წლებში, განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები. მათ შორის:

2014-2016 წლებში – სოფელ დილიკაურში მინისტადიონის რეაბილიტაცია (41,4 ათასი ლარი); სოფელ შროშაში მინისტადიონის რეაბილიტაცია (37,5 ათასი ლარი); ქ. ზესტაფონში (შათირიშვილის ქუჩა) მინიმოედნის რეაბილიტაცია (35 ათასი ლარი); კვალითის დასახლებაში (კეკელიძის ქუჩაზე) სპორტული მოედნის რეაბილიტაცია (43 ათასი ლარი); ქ. ზესტაფონში (მელიქაძის ქუჩა №6-ის მიმდებარედ) სტადიონის მინისტადიონად რეკონსტრუქცია (44 ათასი ლარი); სოფელ ქვედა საქარაში (ჭალატყეში) ხელოვნურსაფარიანი მინისტადიონის მოწყობა (40,2 ათასი ლარი); სოფელ პირველ სვირში (ჭურაძე-კაპანაძეების უბანი) ბუნებრივსაფარიანი მინიმოედნის მოწყობა (30 ათასი ლარი).

2017 წელს: ახალი საჭიდაო დარბაზი აშენდა სოფელ ქვედა საზანოში, რაზეც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 157,2 ათასი ლარი დაიხარჯა; ქ. ზესტაფონში, მაღლაკელიძისა და ლაღიძის ქუჩებზე, ხელოვნურსაფარიანი მინიმოედნების რეაბილიტაციას 95,1 ათასი ლარი მოხმარდა.

2019 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ოთხი ახალი სპორტული მოედანი აშენდა, რასაც რეგიონული განვითარების ფონდიდან 267,7 ათასი ლარი მოხმარდა. ქალაქ ზესტაფონში მოეწყო გარესავარჯიშო სპორტული ტრენაჟორები, რაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 91, 5 ათასი ლარით დაფინანსდა.

2021 წლიდან დაწესდა საქართველოს, ევროპის, მსოფლიოს, ოლიმპიური ჩემპიონების წახალისება – ფულადი ჯილდოები. ყოველწლიურად ფინანსდება სპორტსმენების საზაფხულო საწვრთნელი შეკრებები.

ქ. ზესტაფონში, კეკელიძის, გორგასლისა და პუშკინის ქუჩებზე სპორტული მოედნების მოწყობაზე 51,9 ათასი ლარი დაიხარჯა, სოფელ ქვემო საქარასა და ჭალატყეში კი – 40,2 ათასი ლარი. სოფელ პირველ სვირში (ჭურაძე-კაპანაძის უბანში) მოედნის მოწყობას 29,9 ათასი ლარი მოხმარდა, სოფელ მარტოთუბანში კი – 41,2 ათასი ლარი.

2019-2020 წლებში ქალაქის №2, №4, №5, №7 საჯარო სკოლებში სპორტული მოედნების მოწყობას, საერთო ჯამში, 161 ათასი ლარი მოხმარდა.

2020 წლისთვის დასრულდა: ქ. ზესტაფონში მოსწავლე-ახალგაზრდობის შენობის დარბაზის რეაბილიტაცია (25 ათასი ლარი); ქ. ზესტაფონში ცენტრალური მოედნის რეაბილიტაცია (740 ათასი ლარი).

მოეწყო გარესავარჯიშო მოწყობილობები ქ. ზესტაფონსა (ქალქის 5 სხვადასხვა ადგილას) და დაბა შორაპანში (1 ერთეული), რაზეც, საერთო ჯამში, 108 ათასი ლარი დაიხარჯა.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში 4 შიდაჩემპიონატი (დაიხარჯა– 27,1 ათასი ლარი) და 1 საერთაშორისო ტურნირი (დაიხარჯა – 2,2 ათასი ლარი) ჩაატარეს. სამინისტრომ მუნიციპალიტეტისთვის სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარი შეიძინა (დაიხარჯა – 4,9 ათასი ლარი). ჩატარდა სხვადასხვა შეჯიბრი და ტურნირი, მათ შორის: საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რესპუბლიკური ტურნირი ფარიკაობაში, მუნიციპალიტეტის პირველობები – ჭადრაკში, მინი-ფეხბურთსა და ჭადრაკში.

ახალგაზრდული პოლიტიკა

სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელეს: „ჯანსაღი ცხოვრების წესი“ (3,3 ათასი ლარი), პროექტი მიზნად ისახავდა მოზარდებში სპორტული ცხოვრების გააქტიურებას, ხელშეწყობას და წახალისებას, ასევე, ცხოვრების ჯანსაღი წესის გაცნობას; „ზესტაფონის სპორტული ფესტივალი“ (6,2 ათასი ლარი), პროექტი მიზანი იყო მოზარდებში სპორტული ცხოვრების ხელშეწყობა და წახალისება, საფეხბურთო და საკალათბურთო ტურნირების ჩატარება, რასაც წინ უძღოდა არაფორმალური განათლების პროგრამა.

ახალგაზრდული მიმართულებით, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა, მათ შორის: „მოხალისეობის განვითარების პროგრამა“ (რეგიონის მასშტაბით, 2-2 ახალგაზრდა თითოეული მუნიციპალიტეტიდან); „საქართველოს თასი ლაშქრობაში“ (მონაწილეობა მიიღეს 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდებმა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

2017-2018 წლებში, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით, **ზესტაფონში,** დამატებით განხორციელებულ სხვადასხვა ღონისძიებაზე, სულ 14,2 ათასი ლარი დაიხარჯა.

მუნიციპალიტეტი 80%-ით აფინანსებს სპორტსმენთა საზღვარგარეთ მივლინებებს. ყოველწლიურად ტარდება ღონისძიება „გაიცანი საქართველო“ – ლაშქრობები, გასვლით-შემეცნებითი ღონისძიებები ახალგაზრდების ჩართულობით. 100%-იანი გრანტის მქონე სტუდენტები წახალისებულნი არიან ფულადი ჯილდოთი.

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- მზადდება ცხრაწყაროს თეატრონის რეაბილიტაციის პროექტი, სადაც განთავსდება ფოლკლორული ფესტივალების ჩატარებისთვის განკუთვნილი კომპლექსი. პროექტის ღირებულება 750 ათასი ლარი;
- 2022-2025 წლებში დაგეგმილია შორაპნის ციხე-ქალაქის რეაბილიტაცია, რასაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო 14,5 მლნ ლარით დააფინანსებს;
- განხორციელდება ტაბაკინის სამრეკლოს რეაბილიტაცია/აღდგენა, გამოქარული ნაწილის კირქვით შევსება;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- **დაგეგმილია** გარე სავარჯიშო მოწყობილობების (ტრენაჟორები) მონტაჟი ქ. ზესტაფონსა (ნიკოლაძის და კეთილაძის ქუჩები) და სოფლებში: დილიკაური, ზედა საქარა, არგვეთა, ქვემო საქარა, რაზეც, საერთო ჯამში, 108 ათასი ლარი დაიხარჯება;
- **2021-2022 წლებში** სპორტული მოედნები მოეწყობა ქალაქის №6 და №7 საჯარო სკოლებში, რაზეც, საერთო ჯამში, 144,9 ათასი ლარი დაიხარჯება;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

ᲩᲔᲛᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲑᲝ!

განსაკუთრებული პატივი და დიდი პასუხისმგებლობაა, როდესაც შეგიძლია, შენი მშობლიური მხარის განვითარებაზე დადებითი ზეგავლენა მოახდინო. ზესტაფონის მერობა უდიდესი გამოწვევაა და მზად ვარ, ამ გამოწვევას ჩემს გუნდთან ერთად ვუპასუხო! ამასთანავე, გამოცხადებული ნდობისთვის, მსურს, დიდი მადლობა გადავუხადო „ქართულ ოცნებას“, ერთადერთ პასუხისმგებლიან პოლიტიკურ ძალას საქართველოში.

მთელი ჩემი ცხოვრება ზესტაფონს უკავშირდება. კარგად ვიცნობ თითოეულ კუთხე-კუნჭულს და აღფრთოვანებაში მოვყავარ ჩემთვის კარგად ნაცნობ, იუმორის საოცარი გრძნობის მქონე, მშრომელ, სტუმარმასპინძლობით გამორჩეულ ხალხს. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ მთელი გულით მსურს, ჩემი ცოდნა და გამოცდილება, ახლა უკვე მერის რანგში მოვახმარო მშობლიური მუნიციპალიტეტის განვითარებას. დამერწმუნებით, მარტივად შესამჩნევია ის პროგრესი, რასაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ზესტაფონმა მიაღწია, თუმცა ვიცი, რომ ჩვენს წინაშე კვლავ რჩება გამოწვევები.

მე და ჩემს გუნდს გვაქვს მკაფიო გეგმა, თუ როგორ მივიყვანოთ ბოლომდე უკვე წამოწყებული და ახალი, მასშტაბური პროექტები, მათ შორის: გზების მოწესრიგების, სოფლების გაზიფიცირებისა და უწყვეტი წყალმომარაგების საკითხები. აუცილებლად დავეხმარებით სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულ ადამიანებს, რათა მაქსიმალურად ისარგებლონ სახელმწიფო პროგრამებით და შესაბამისი სარგებელიც მიიღონ. ღრმად მწამს, ერთობლივი ძალისხმევით, სწორი პოლიტიკის გატარებით, 4 წლის შემდეგ ზესტაფონი ბევრად წარმატებული და განვითარებული ქალაქი იქნება.

ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ! ზესტაფონი გაიმარჯვებს!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.